დამტკიცებულია რექტორის 2016 წლის 8 იანვრის N10-03 ბრძანებით, შეტანილია ცვლილებები 2016 წლის 11 მაისის N1019-03 ბრძანებით, 2017 წლის 14 ივლისის N1475-03 ბრძანებით, 2023 წლის 3 თებერვლის N 114-03 ბრძანებით, 2026 წლის 21 სექტემბრის N1654-03 ბრძანებით

დანართი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამად ითვლება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხოურ უნივერსიტეტს შორის ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული გაცვლითი პროგრამები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ ხდება ისუ-ს კურიკულუმის შესაბამისი საგნების არჩევა მიმღებ უნივერსიტეტში და კრედიტების აღიარების საკითხი რეგულირდება სტუდენტს, გამგზავნ და მიმღებ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსი

ა) გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სტატუსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არის აქტიური;

ბ) უნივერსიტეტის შიდა სტუდენტური ბაზების მართვისთვის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს ენიჭება გაცვლითი სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 3. სტუდენტის მხრიდან შეტყობინების განსაზღვრის ვადები და პროცედურა

ა) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მიმღები უნივერსიტეტის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ, გამგზავრებამდე არაუმეტეს ერთი თვით და არაუგვიანეს ორი კვირით ადრე, სტუდენტი წერს განცხადებას რექტორის სახელზე რათა მიენიჭოს გაცვლითი სტუდენტის სტატუსი;

ბ) განცხდებაში მითითებული უნდა იყოს მიმღები უნივერსიტეტის დასახელება, გაცვლითი პროგრამის დასახელება, სწავლების საფეხური და მიმღებ უნივერსიტეტში სწავლის ვადები;

გ) მიმღები უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს ქართულ ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დამოწმებული;

დ) განცხადება იგზავნება ფაკულტეტზე/სკოლაში და ფაკულტეტის/სკოლის თანხმობის შემთხვევაში დეკანი საკითხს წარუდგენს რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად;

ე) რექტორის ბრძანებით ხდება სტუდენტისათვის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

მუხლი 4. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის ადმინისტრირება პროგრამა „არგუსში“

ა) გაცვლითი სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტს არგუსში ეზღუდება საგნების არჩევის რეჟიმი;

ბ) სტუდენტის მიერ მიმღებ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტები/შეფასებები არგუსში აისახება სტუდენტის მხრიდან ოფიციალურად დადასტურებული დოკუმენტის წარმოდგენისა (ნიშნების ფურცელი) და აღიარების საფუძველზე.

მუხლი 5. კრედიტების აღიარება

ა) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში, მიმღები უნივერსიტეტიდან ჩამოტანილი კრედიტების აღიარების მიზნით სტუდენტი თავდაპირველად მიმართავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ხოლო შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის მიერ გაცემული დასკვნით - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

ბ) კრედიტების/შეფასების აღიარება ხდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სტუდენტის ფინანსური სტატუსი

6.1. 2026/2027 სასწავლო წლამდე ჩარიცხული სტუდენტებისთვის

ა) სტუდენტი, რომელიც სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული დაფინანსებული გაცვლითი პროგრამით, მობილობის პერიოდში აგრძელებს სწავლის საფასურის გადახდას მშობლიურ უნივერსიტეტში მოქმედი ხელშეკრულებით დადგენილი ვადებისა და საფასურის გადახდის გრაფიკის გათვალისწინებით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მობილობას ახორციელებს დაფინანსების გარეშე, იგი არ იხდის მშობლიურ უნივერსიტეტში სწავლის საფასურს. აღნიშნული, ასევე, შეეხება იმ სტუდენტს, რომელიც მასპინძელ უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი დაფინანსებული მობილობის დასრულების შემდეგ გაიხანგრძლივებს მობილობის პერიოდს ე. წ. ნულოვანი გრანტის ფარგლებში.

გ) სტუდენტები, რომლებიც ვერ მოაგროვებენ ან არ უღიარდებათ სასწავლო ხელშეკრულებით გაწერილ სასწავლო კურსებში კრედიტები (სემესტრში 30 კრედიტი ან სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტი) და რაც გამოწვეული იქნება მიმღები უნივერსიტეტის ბრალეულობით, არ იხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრული სწავლების საფასურს გაცვლითი პერიოდის დასრულების შემდეგ შესაბამისი კურსის გავლაში. ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც სასწავლო ხელშეკრულებით გაწერილ სასწავლო კურსებში ვერ მიიღებენ კრედიტებს უარყოფითი შეფასების გამო, გადაიხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრული სწავლის საფასურს უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.

დ) დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრული სწავლების საფასურის დააგნარიშებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული ის კურსები, რომლებიც სტუდენტს ფაკულტეტთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მშობლიურ უნივერსიტეტში უღიარდება კურიკულუმის ფარგლებს გარეთ.

ე) თუ სტუდენტი მასთან მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში დაასრულებს სწავლას მისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობაზე მეტი კრედიტით, იგი არ იხდის მიმღებ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული და უნივერსიტეტში აღიარებული დამატებითი კრედიტების საფასურს.

ვ) იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტი ვერ დაასრულებს სწავლას მასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადებში, მას უფორმდება ახალი ხელშეკრულება და იხდის სწავლის საფასურს იმ წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის დადგენილი ოდენობის ფარგლებში - კრედიტის საფასურს უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით.

6.2. 2026/2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის

ა) სტუდენტი, რომელიც სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი პროგრამით, მობილობის პერიოდში აგრძელებს სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობას გაცვლით სემესტრში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი სემესტრის განმავლობაში მოგროვებული კრედიტების ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აღიარების შემდგომ, სტუდენტი ვერ დააკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალური კრედიტების რაოდენობას, მას შეუჩერდება დამსახურებაზე დაფუძნებული დაფინანსება და ვალდებული იქნება დაფაროს მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამსახურებაზე დაფუძნებული დაფინანსების შეჩერების/აღდგენის პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

გ) სწავლის საფასურის დააგნარიშებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული ის კურსები, რომლებიც სტუდენტს ფაკულტეტთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მშობლიურ უნივერსიტეტში უღიარდება კურიკულუმის ფარგლებს გარეთ.

დ) იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტი ვერ დაასრულებს სწავლას მასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მას უფორმდება ახალი ხელშეკრულება იმ წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის დადგენილი მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 7. სახელმწიფო სტიპენდიაში მონაწილეობის წესი

სტუდენტი იღებს სახელმწიფო სტიპენდიას და მონაწილეობს მასში გამგზავრებამდე ბოლო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით.

მუხლი 8. დამატებითი პირობები

ა) თუ გაცვლითი სტატუსის მქონე სტუდენტი დაარღვევს მშობლიურ უნივერსიტეტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს მისი სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას, სტუდენტს შეუწყდება გაცვლითი სტუდენტის სტატუსი და ვალდებული იქნება დატოვოს მიმღები უნივერსიტეტი;

ბ) ამავდროულად, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ყოველი კონკურსის გამოცხადების პერიოდში გამოქვეყნებული საკონკურსო პირობები ითვლება წესად, რომლის დაცვა სავალდებულოა კონკურსში მონაწილე სტუდენტებისთვის.

გ) საფასურთან და კრედიტებთან დაკავშირებით გაუთვალისწინებელი შემთხვევების განხილვა მოხდება ინდივიდუალურად სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 9. მოქმედების პერიოდი

აღნიშნული წესი ვრცელდება 2023/2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებზე.